პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

25 დეკემბერი ხუთშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის ნი-ე წელი

№ 299 (14599)

ჩვენი რესპუბლიკის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები ამ დღეებში აღნიშნავენ ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისებს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის.

სურათზე: თბილისის სახლი ჩარხების ქარხნის პოლიტიფიცორგანიზატორი ო. ზეიკიძე აცნობს მუშებს თეზისებს.

ფოტო ვლ. ბინაზაშვილისა.

ლენინიზმის ძლევამოსილი დროშა



ლენინის იუბილეს-ღირსეული შეხვედრა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და კოროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილეს საკითხი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების წესისა და ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა წახალისების ღონისძიებათა შესახებ.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამაარსებლის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბელადის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

რესპუბლიკის მშრომელები ემზადებიან სახელოვანი იუბილესათვის და წარმატებით ასრულებენ სოციალისტურ ვალდებულებებს შრომის ეფექტიანობის ამაღლების, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანესი მიღწევების დანერგვის, ახალი სიმძლავრეების რაც შეიძლება მალე ამოქმედებისა და ათვისების, პროდუქციის ხარისხის და საიმედოობის გაუმჯობესების შესახებ.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის რესპუბლიკის მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებაში მკაფიოდ ვლინდება პატრიოტიზმი, მისწრაფება, რომ ეს ღირსშესანიშნავი თარიღი აღნიშნონ ახალი მიღწევებით ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა, დიდად აფასებენ რა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა თავდადებულ შრომას, ამ შეჯიბრების მონაწილეების წარმატებათა აღსანიშნავად, გამარჯვებულთა წასახალისებლად დაადგინეს **საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ლენინური საიუბილეო საპატიო სიგელი.**

ლენინური საიუბილეო საპატიო სიგელები მიენიჭებათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ერთობლივი დადგენილებით **სამრეწველო საწარმოების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მშენებლობის, ვაჭრობის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ორგანიზაციების კოლექტივებს, რომლებიც ყველაზე მეტად გამოიჩენენ თავს საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მაღალ მჰივენებლებს მოიპოვებენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებაში.**

დადგენილია, რომ ლენინური საიუბილეო საპატიო სიგელის მინიჭება ცხადდება და იგი გამარჯვებულს გადაეცემა რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების საზეიმო სხდომებზე, კრებებზე, მიტინგებზე.

საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ორგანიზაციების კოლექტივებს, რომლებსაც ლენინური საიუბილეო საპატიო სიგელები მიენიჭებათ, მიეცემათ აგრეთვე რესპუბლიკური ფულადი პრემიები იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია კოლექტივებისათვის, რომლებიც რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით ჯილდოდებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშებით.

ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილია, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს წითელი დროშები, აგრეთვე სამინისტროების, უწყებებისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების გარდამავალი წითელი დროშები და შესაბამისი ფულადი პრემიები მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის საწარმოებსა და ორგანიზაციებს 1970 წლის პირველი კვარტალისა და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს 1969 წლის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით არ მიენიჭოთ. (საქდესი).

ვამრავლოთ, განვამტკიცოთ საბრძოლო ინტერნაციონალური ტრადიციები

აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტების სამეცნიერო სესია

24 დეკემბერს მუშაობას განაგრძობდა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტების — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალთა სამეცნიერო სესია, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს ეძღვნება. სესიის დღე წესრიგშია: „ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება ამერიკაკავკასიაში".

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები შ. ა. მდივანაძე, კ. ა. როდიონოვი, დ. ბ. სტურუა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ა. ნ. შადოსიანი.

სხდომას თავმჯდომარეობს სომხეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ხომხეთის ფილიალის დირექტორი, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ზ. ბ. ლარიბიანი.

ორი დღის განმავლობაში აზერბაიჯანის პარტიის ისტორიკოსები, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მეცნიერები, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები და მასწავლებლები, იდეოლოგიური მუშაკები პატრიოტული სიამაყის გრძნობით, ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ რა ისტორიული მიღწევები მოიპოვა სოციალიზმმა ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით: საუკუნოვანი ეროვნული პრობლემის გადაწყვეტაში, რომლის განხორციელება არ შეუძლია არც ერთ სხვა წყობილებას.

ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამერიკაკავკასიაში ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ ერთა და ეროვნებათა ურღვევი შეკავშირების, მათი სწრაფი სამეურნეო და კულტურული აღმავლობის, მათი ერთიანი პროლეტარული იდეოლოგიის დამკვიდრების მკაფიო მაგალითია.

მტრული, ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ მწვავე ბრძოლის თანამედროვე პირობებში, აღნიშნეს ორატორებმა, აუცილებელია განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კიდევ უფრო ფართოდ გავაშუქოთ ამერიკაკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების უმდიდრესი ინტერნაციონალური ტრადიციების მთელი ძალა და მნიშვნელობა. პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა ლენინური მეგობრობის სულისკვეთებით ყველა შრომელის აღზრდა კიდევ უფრო განამტკიცებს სსრ კავშირის ხალხთა მონოლითურ ერთიანობას — კომუნისტური შენებლობის ამოცანების წარმატებით განხორციელების საჭირო პირობას.

მუშაობის მეორე დღეს სესიამ მოისმინა მოხსენებანი:

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის აზერბაიჯანის ფილიალის დირექტორის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხ. ბ. ბეზირეშვილისა — „ვ. ი. ლენინი და ბაქოს კომუნა";

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ი. ი. მირცხულავას — „ვ. ი. ლენინი ამიერკავკასიაში სოციალიზმის მშენებლობის ამოცანების შესახებ;

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სექტორის გამგის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ბ. კ. შავანისა — „ლენინური იდეების გავრცელება და პროპაგანდა ამიერკავკასიაში".

მომხსენებლებმა ილაპარაკეს სახელოვანი ბაქოს კომუნის გმირულ ეპოპეაზე, რომლის თვითეული ფურცელი დაკავშირებულია ვ. ი. ლენინის სახელთან და გაცისკროვნებულია მისი იდეებით, ილაპარაკეს სოციალიზმის მშენებლობის, ამიერკავკასიაში ეროვნული ზღვის დამყარებისა და განმტკიცების ბრძოლაში ლენინური პროგრამის, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის უშიშარი მოწაფეებისა და თანამებრძოლების — ნამდვილი პროლეტარული ინტერნაციონალისტების ი. ბ. სტალინის, ს. ბ. შაუმიანის, ნ. ნ. ნარიმანოვის, მ. ა. აზიზბეკოვის, ა. ა. ჯაფარიძის, შ. ბ. ცხაკაიას, ზ. ა. ორჯონიკიძის, ა. ო. მიასნიკიანის, ს. მ. კიროვისა და ბევრ სხვათა შესახებ, იმაზე, თუ რა უდიდესი მუშაობა გასწიეს მათ ამიერკავკასიაში ლენინური იდეების გავრცელებისა და პროპაგანდისათვის.

სესიაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა ა. ნ. შადოსიანმა.

სესიის მუშაობაშე ჩაიარა მაღალ იდეურ დონეზე, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა ლენინური მეგობრობის დიადი პრინციპების სულისკვეთებით. (საქდესი).

ᲞᲠᲐᲕᲓᲐ

24 დეკემბრის მოწინავე

ჩვენი ქვეყნის ცხოვრება, მისი მშრომელების მთელი საქმენი, და მიღწევები გაცისკროვნებულია ლენინის მოახლოებული იუბილეს შუქით. ეგებებიან რა დიად და ფიზიეული საბჭოთა ადამიანისათვის ძვირფას თარიღს, კომუნიზმის მილიონობით მშენებელნი ახალი ძალით გამოხატავენ მხურვალე სიყვარულს თავიანთი ბელადისა და მასწავლებლისადმი. თავდადებულ ერთგულებას ლენინიზმისადმი.

გუშინ გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი. კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი თეზისებს შეხვდნენ როგორც დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ და თეორიულ დოკუმენტს, რომელიც უდიდეს როლს შეასრულებს მარქსიზმ-ლენინიზმის პრობაგანდასა და შესწავლაში, მშრომელთა იდეურ შეიარაღებასა და ლენინის ანდერძის შემდგომი განხორციელებისათვის ბრძოლველად დარაზმვაში.

თეზისები მკაფიოდ გვიჩვენებენ ლენინის — მარქსისა და ენგელსის რევოლუციური მოძღვრების გენიალური განმგრძობის, ჩვენი კომუნისტური პარტიის შემქმნელის, ისტორიაში უდიდესი სოციალური რევოლუციის ხელმძღვანელისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის, საერთაშორისო მუშათა კლასის ბელადის სიდიადეს. თეზისებში ნათქვამია: „ლენინის სახელთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებულია კაცობრიობის ცხოვრების მთელი რევოლუციური ეპოქა. ლენინმა პასუხი გასცა ყველაზე აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც ისტორიული განვითარების მსვლელობამ დააყენა, ყოველმხრივ განვითარია სოციალისტური რევოლუციისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის თეორია, შეიარაღა რუსეთის, მთელი საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობა მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიითა და ტაქტიკით, სათავეში ჩაუდგა მუშათა კლასის ბრძოლას სოციალიზმის იდეალების განხორციელებისათვის. სოციალიზმმა, რომელიც მარქსმა და ენგელსმა უტოპიიდან მეცნიერებად გადაქციეს და ლენინმა ახალი დასკვნებითა და აღმოჩენებით გამადიდრა, ხორცი შეესხა მსოფლიო-ისტორიული მასშტაბის სოციალური პრაქტიკით, გახდა ჩვენი დროის ძირითადი რევოლუციური ძალა".

თეზისები ახასიათებენ ლენინური მოძღვრების მნიშვნელობას ხალხთა ბედისათვის, მას უჭკონ ხასიოვცხლო ძალას და ხაზს უსვამენ, რომ საერთაშორისო მუშათა კლასმა ამ მოძღვრებით მოიპოვა ძლავრი თეორიული იარაღი, ყოველმხრივ დამუშავებული იდეოლოგია, რევოლუციური მოქმედების პროგრამა. ლენინიზმი — ეს არის იმპერიალიზმისა და პროლეტარულ რევოლუციათა ეპოქის, ეროვნულ-განმთავისუფლებელ მოძრაობათა გამარჯვების ეპოქის, კაპიტალიზმიდან სოციალიზმის გადასვლისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ეპოქის მარქსიზმი. XX საუკუნის რევოლუციური მიღწევები — ოქტომბრის რევოლუცია, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა, მუშათა მოძრაობის მონაპოვარნი კაპიტალის ქვეყნებში და ყოფილ კოლონიათა და ნახევარკოლონიათა ხალხების წარმატებანი იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ადასტურებენ ლენინიზმის ისტორიულ სიმართლეს.

ლენინიზმის იდეების ცოცხალი, რეალური განსახიერებაა სოციალიზმის გამარჯვება და კომუნისტური მშენებლობის წარმატებანი სსრ კავშირში, რომლებიც უდიდეს გამარეგოლუციურებელ გავლენას ახდენდნენ და ახდენენ მთელ კაცობრიობაზე. თეზისებში გაშუქებულია მსოფლიოისტორიული დამსახურება ლენინისა, კომუნისტთა პარტიისა, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ ახალი, სოციალისტური საზოგადოების შექმნას, განზოგადებულია ჩვენი ქვეყნის ლენინური გზით სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური განვითარების ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის გამოცდილება. ეს გამოცდილება სავსებით ადასტურებს ლენინის განჭვრეტას საზოგადოებრივი ურთიერთობის ძირეული გარდაქმნის შესახებ, სოციალიზმის პირობებში, საწარმოო ძალებისა და სულიერი კულტურის ზრდის უდიდესი დაჩქარების შესახებ.

თავისი მაგალითით სოციალისტური ქვეყნების მშრომელები დარწმუნდნენ ლენინური მოძღვრების საერთო მნიშვნელობასა და ქმედითობაში. ლენინიზმისადმი ერთგულება აერთიანებს მოძმე ხალხებს, რომელთა პოლიტიკური და ეკონომიური შეკავშირება საშუალებას იძლევა უფრო სრულად გამოიყენოთ საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალისტური ორგანიზაციის უპირატესობანი.

თეზისებში ახასიათება თანამედროვე კაცობრიობის განვითარებაზე ლენინური იდეების სულ უფრო ღრმა ზემოქმედების პროცესი, როცა სოციალიზმი ისტორიულ შეტევაზეა, როცა იგი გახდა სოციალური პროგრესის გიგანტური ამჩქარებელი. კომუნისტებს, ყველა ნამდვილ რევოლუციონერს ეს მიუჩნია ლენინური მოძღვრების განხორციელების, მსოფლიო სოციალიზმის მატერიალური და სულიერი ძლიერების შემოქმედი ხალხების თავდადებული შრომის კანონზომიერ შედეგად.

ჩვენს დროში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები ადამიანთა ახალ-ახალ მასებს იზიდავენ. სოციალიზმისა და კომუნიზმის მილიონობით მშრომელთან ერთად მარქსიზმ-ლენინიზმი შთაგონების წყაროა კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასისათვის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლებისათვის, მთელი პროგრესული ძალებისათვის.

ლენინის მოძღვრება იყო და რჩება მსოფლიოს ყველა კომუნისტის, ყველა ჭეშმარიტად რევოლუციონერის კუთვნილებად. მათთვის ლენინიზმი რევოლუციური აზროვნებისა და რევოლუციური მოქმედების მეთოდოლოგიაა. ეერდნობიან რა ლენინის თეორიულ მემკვიდრეობას და განუწყვეტლივ ამდიდრებენ რა მას, ხალხთა კავშირის კომუნისტური პარტია და მოძმე პარტიები შეურიგებლად ილაშქრებენ თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, მარქსისტულ-ლენინური თეორიის მემარჯვენე და „ცრუმემარცხენული" დამახინჯებების წინააღმდეგ. როგორც დიადი ინტერნაციონალური მოძღვრება ლენინიზმი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის იდეური დროშაა. ეს კვლავ ხაზგასმით აღნიშნა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირმა, რომელმაც მიიღო მიმართვა „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის შესახებ".

ხალხთა კავშირის კომუნისტური პარტია ურყევად ერთგულია ლენინის ანდერძისა, რომლის აზრი ყოველთვის მომართული იყო წინ, კომუნიზმისაკენ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში ნათქვამია, რომ, აღნიშნავენ რა ლენინის იუბილეს, ხალხთა ხალხი, სოციალისტური ქვეყნების ხალხები, საერთაშორისო მუშათა კლასი, ყველა რევოლუციური მებრძოლი აწყობენ თავიანთი ძალების დათვალიერებას, განამტკიცებენ ხალხძოლი ერთიანობას, განსაზღვრავენ თავიანთი მოქმედების შემდგომ პერსპექტივებსა და ამოცანებს.

ჩვენი გენერალური პერსპექტივაა კომუნიზმის აშენება. ლენინური იდეები კომუნიზმის არსისა და პრინციპების შესახებ, მისი მშენებლობის ფორმებისა და მეთოდების შესახებ პარტიამ განავითარა კომუნისტური მშენებლობის მთლიან და მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრამად, რომელიც თანამედროვე ეტაპზე საფუძველად დაედო სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს. მიაჩნია რა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მთავარ ამოცანად უწინარეს ყოვლისა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, პარტია ძალღონეს არ იშურებს იმისათვის, რომ უზრუნველყოს სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდა და ამის მეოხებით მოიწიოს ხალხის ცხოვრების დონის არსებით ამაღლებას. სსრ კავშირის ხალხთა მეფურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულება სულ უფრო ხდება წარმოების ინტენსიფიკაცია, რომელიც მოითხოვს ორგანიზაციისა და მისი მართვის ყველაზე რაციონალური სისტემის შექმნას, ყოველმხრივ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ ინდუსტრიალიზაციასა და სპეციალიზაციას, სახალხო-სამეურნეო პროპორციების სრულყოფას, მატერიალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

ხელმძღვანელობს რა ლენინის მითითებით, პარტია ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტას უკავშირებს ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას. ამ საქმეში აქტიური როლი ეკუთვნის მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას, კომუნისტურ აღზრდას. ახალი ადამიანის აღზრდა ნიშნავს — ხალხთა ადამიანებს განვუვითაროთ შეგნებული, ნამდვილად კომუნისტური დამოკიდებულება შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი, კომუნიზმის მშენებლის მორალური სახის საუკეთესო თვისებანი, შრომემეტის კიდევ უფრო ავუმაღლოთ კომუნისტური მშენებლობის საქმისათვის სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა.

ხალბოთა ადამიანების იდეური სიმწიფის ზრდასთან ერთად მასების კომუნისტური აღზრდის დონე და ქმედითობა სულ უფრო მეტად დამოკიდებული პარტიის თეორიულ საქმიანობაზე. მას თავის მოვალეობად მიაჩნია წმიდად ასრულებდეს ლენინის ანდერძს, მუდამ უწევდეს პროპაგანდას, იცავდეს დამახინჯებებისაგან და კიდევ უფრო ავითარებდეს სოციალისტურ იდეოლოგიას — მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრებას, ე. ი. მარქსიზმს. მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შემდგომი განვითარებისა და მისი იდეების პროპაგანდისათვის შემოქმედებითს მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ლენინის იუბილესათვის მზადებასთან დაკავშირებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაშლისათვის. ამ დოკუმენტის ღრმად შესწავლა და განმარტება პარტიული ორგანიზაციებს, ყველა კომუნისტის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანაა. მისი წარმატებით გადაწყვეტისათვის საჭიროა ფართოდ და აქტიურად გამოვიყენოთ პარტიული განათლების, პოლიტიკური ინფორმაციის სისტემა, პრესის, რადიოს, ტელევიზიის ორგანოები, პროპაგანდისა და აგიტაციის ყველა ფორმა და საშუალება. დიად თარიღთან დაკავშირებით პოლიტიკური მუშაობის მთავარი შინაარსი და მიმართულება განსაზღვრულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ". ჩვენმა პროპაგანდისტებმა, აგიტატორებმა, იდეოლოგიური ფრონტის ყველა მუშაკმა მასებს უნდა გააცნონ თეზისების იდეები და დებულებანი, ორგანულად დაუკავშირონ ისინი თვითეული შრომითი კოლექტივის ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმეებსა და ამოცანებს, ხელი შეუწყონ მასების დარაზმვას ხუთწლედის ვადამდე დამთავრებისათვის, ლენინის იუბილეს აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ნათელი თარიღის წინ ჩვენი ქვეყნის მშრომელები სულ უფრო მაღლა სწევენ ლენინიზმის ძლევამოსილ დროშას. ამ დროშით განვლილი რევოლუციური ბრძოლისა და შემოქმედებითი აღმშენებლობის დიდი სახელოვანი გზა. ამ დროშით, განაგრძობს რა ლენინის საქმეს, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი გულდაჯერებით მიდის წინ თავისი დიადი მიზნისაკენ, მთელ ძალებს, ცოდნას, ენერგიას ახმარს კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის, კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას.

□ □ □

Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘᲓᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲘᲦᲝ

ᲣᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲗᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

24 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრაშ პეტერი.

ა. ნ. კოსიგინსა და ა. პეტერს შორის გაიმართა საუბარი, რომელს დროსაც შეეხნენ საბჭოთა კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების საკითხებს, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო მთელ რიგ სხვა საკითხებს. (საქდესი).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში დამთავრდა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტების საერთო განყოფილებათა გამგეების კურსები.

კურსების მსმენელები სწავლობდნენ სკკპ ისტორიისა და პოლიტიკის, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისა და მეცნიერული კომუნიზმის, პოლიტიკური ეკონომიის, მართვის მეცნიერული ორგანიზაციის, პარტიული და სახელმწიფო მშენებლობის აქტუალურ საკითხებს.

მსმენელთა წინაშე გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ი. ვ. კაპიტონოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ა. ბაიბაკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ა. 	ირილინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ვ. ი. სტეპანოვი, ვ. ფ. შაშერინი, კ. უ. ჩერნენკო, სსრ კავშირის მინისტრები ნ. ს. პატოლიჩევი, ა. ვ. სინიორინაო, ფ. ა. ფურცევა, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რ. ა. რუდენკო, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი ვ. ნ. სტაროვსკი, საგადასის გენერალური დირექტორი ს. ბ. ლაპინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარე ა. ვ. რომანოვი, აკადემიკოსი ვ. ნ. პოსპელოვი და სხვები.

კურსებზე გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტების საერთო განყოფილებათა მუშაობის ძირითად საკითხებზე.

კურსების მსმენელები გაეცნენ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ღირსსახსოვარ ლენინისადმი ადგილებს, დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, ორგანიზაციის გამოფენას, ნახეს ახალი ფილმები, იყვნენ „მოსფილმის" სტუდიაში, დათვალიერეს ოსტანკინოს ტელეკომბინატი, ეწვიენენ მუზეუმებსა და დედაქალაქის თეატრებს.

„ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ-316" ᲓᲐ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ-317"

1969 წლის 23 დეკემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრები „კოსმოსი-316" და „კოსმოსი-317".

თანამგზავრებზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. (საქდესი).

□

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲛᲘᲬᲕᲔᲕᲘᲗ

ავღანეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრის, არმიის გენერალს ხან მუჰამედს მიწვეული 24 დეკემბერს ავღანეთში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო. (საქდესი).

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲝᲜᲘ

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯევდეთ სუნაიმ, რომელიც თბილისს იწვია, როგორ საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბ. ს. ძიმენიძმს გაგზავნა ლეტერი.

მადლობას მოგახსენებთ გულთბილი და გულწრფელი სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც გამოიჩინეთ ჩემი ყოფნის დროს, ჩვენ მუდამ გვეამახსოვრება თქვენთან გატარებული შესანიშნავი დღეები და მიღებული კარგი შთაბეჭდილებანი.

ამასთან დაკავშირებით უაღრესად გულწრფელად ვუსურვებ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას თქვენს აღმატებულებას და კეთილდღეობას — ქართველ ხალხს. (საქდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲯᲔᲑᲘ

საქართველოს სსრ მეცნიერთა აკადემიის მეცნიერული სესია გაიხსნება დღეს, 25 დეკემბერს, დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲣᲖᲔᲡᲘᲡᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲯᲔᲑᲘ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უზესესთა საბჭოს სხდომა გაიმართება დღეს, 25 დეკემბერს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუ

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲘᲡᲒᲐᲜ-ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲡᲒᲐᲜ ᲐᲓᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

თუ ყველა რეზერვს ავამოქმედებთ...

კოლმეურნეობის ავანგარდი დიდხანს ემზადებოდა ამ კრებისათვის. რამდენიმე დღით ადრე გაკრული განცხადება კომუნისტებს აუწყებდა საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრების მოწვევის დროსა და ადგილს.

როგორც მომხსენებელს—პარტკომის მდივანს ზ. ჩოკოშვილს, ისე კამათის მონაწილე კომუნისტებს ბევრი რამ ჰქონდათ სათქმელი და მათ შორის საამაყო. უანდაურის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა მოწინავეა საგარეჯოს რაიონში.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო უანდაურელებისათვის მიმდინარე სამეურნეო წელი. მათ ახალი ძალით გააჩაღეს ბრძოლა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. აქ ვადამდე და გადამეტებით შესრულდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური დავალებები. არაბესა ყ ე ლ ი კლიმატური პირობების მიუხედავად უანდაურელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.235 ცენტნერი მარცვლეული, 6.330 ცენტნერი ყურძენი, 279 ცენტნერი ბოსტნეული, 485 ცენტნერი ხორცი, 1.466 ცენტნერი რძე, 115 ცენტნერი მატყლი, 87,5 ათასი ცალი კვერცხი... შესრულდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობისა და ნამატის მიღება-გამოზრდის დავალებებიც.

ამ წარმატებებში დიდია კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტების წვლილი.

კომუნისტები ბრძოლის წინა ხაზზე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე მუშაობენ და პირადი მაგალითით აღფრთოვანებენ კ ო ლ მ ე ურნეებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად. არა მარტო უანდაურამ, არამედ მთელმა რაიონმა შეიტყო კომუნისტი მეფუძანე-ბრიგადირების ვ. ათაბეგაშვილის, ი. ადუაშვილის, ლ. გამარჯვაშვილის, ს. ათაბეგაშვილის, მექანიზატორების ს. ათაბეგაშვილის, შ. და მ. ადუაშვილების, მეფუძანეების ალ. ჭუმელაშვილის, ივ. ხირაძის, სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირ შ. ლეგაშვილის, მემინდვრე ბრიგადირის ზ. ბარბაქაძის და სხვათა სახელები.

მაგრამ, რომ იტყვიან, მჭიბნის მჭიბი არ დაილეგაო, ეს მემინდვრეობის ბრიგადირ კომუნისტ ზ. ბარბაქაძეზე ითქმის. დღენიადაგ შრომის დისციპლინის განმტკიცებით, შრომის სწორად ორგანიზებით, მიწათმოქმედების კულტ უ რ ი ს ამაღლებისათვის ზრუნვით იგი მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევს. წელს ბრიგადამ, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, 1.019 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე 14 ცენტნერი საშემოდგომო ხორბალი მოიყვანა. აღსანიშნავია, რომ ბრიგადამ სარწყავ ფართობზე რაიონისათვის სარეკორდო მოსავალი — 300 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე 26,5 ცენტნერი, ხოლო 18 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე — 47,3 ცენტნერი მარცვალი მოიყვანა.

შრომის საუკეთესო მაგალითს იძლევიან მეფრინველეები — კომუნისტები თ. ცანკაშვილი, მ. შენგელაძე, მერძეული პირუტყვის ფერმის გამგე კ. შენგელაძე, მეცხვარეები ქ. ჩოკოშვილი, კ. ჯავახიშვილი და სხვები.

მშრომელთა მზარდ საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას სათავეში უდგას პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ყოველდღიურად ამაღლებს ორგანიზატორულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას.

დიდსა და სახარგებლო მუშაობას ეწევა აგიტკოლექტივი, რომელშიც 24 აგიტატორი და პოლიტინფორმატორია გაერთიანებული. ისინი მშრომელებს ნათლად, დამაჯერებლად განუმარტავენ ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობას, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს, ხელს უწყობენ წარმოებაში ყოველივე ახლის, პროგრესულის დანერგვას.

უკანასკნელ ხანებში აქ შესამჩნევად გაძლიერდა ლექციური პროპაგანდა. კომუნისტები უდიდეს ინტერესს იჩენენ დიდი ლენინური მემკვიდრეობის შესწავლისადმი. მარქსიზმ-ლენინიზმი ხელმძღვანელობს ყველა მუშაობის და მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელ სკოლებში მეცადინეობები ორგანიზებულად, მაღალ იდეურ დონეზე მიმდინარეობს. პროპაგანდისტები დ. სიხარაძე და შ. გამყრელიძე შესასრულებენ ... [illegible] ... ბოლო დროს ამ მხრივ უურადღების შესუსტებამ გაადარიბა ნიადაგის საბანავი ფენა, გაამრავლა მინდვრის მავნებელები. საუკეთესო საშუალებაა თესლბრუნვის შემოღება, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს მიწის ნაყოფიერებას.

კომუნისტებმა დიდი უურადღებით მოისმინეს კოლეიურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატის ბ. ათაბეგაშვილის გამოსვლა. მან კრების მონაწილეებს მოუთხრო იმ უდიდეს შთაბეჭდილებებზე, რომელ ბ ი ც დატოვა ... კოლმეურნეთა დიდმა ფორუმმა, უაღრესად საქმიან ატმოსფეროში, რომელიც სუფევდა კრემლის ყრილობათა სასახლეში. შემდეგ იგი შეეხო-მშობლიური კოლმეურნეობის წინაშე დასმულ ახალ ამოცანებს და მათი გადაჭრის კონკრეტულ გზებს.

საანგარიშო-საარჩევნო კრების მონაწილე კომუნისტებმა დააყენეს სოფლის კეთილმოწყობის მთელ რიგ გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელების საკითხები. სოფელს, რომელშიც 340 კომლი ცხოვრობს, არ ყოფნის სასმელი წყალი. ამ საქმის მოგვარება დღემდე შეიძლებოდა, თუ კი „წყალმშენის“ მეოთხე სამშენებლო სამმართველო, რომელმაც წყალსადენის მშენებლობაზე 152 ათასი მანეთი დახარჯა, ბოლომდე მიიყვანდა თავის მიერ დაწყებულ საქმეს. სოფელს დღემდე არა აქვს შესაფერი სასკოლო შენობა და სავაჭრო მაღაზია.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. ბაბუაშვილმ. მან კრების მონაწილეთა უურადღება გაამახვილა კომუნისტთა ავანგარდული როლის შემდგომ ამაღლებაზე, რაც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ახალ მიღწევათა მოპოვების მთავარი გარანტიაა. ამხ. შ. ჭანუყვაძემ ხაზგასმით ილაპარაკა აგრეთვე უანდაურელ კომუნისტთა იმ ამოცანებზე, რომლებიც გამომდინარეობენ ამ ცოტა ხნის წინათ დამთავრებული კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის გადაწყვეტილებებიდან.

ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომუნისტებმა ახლად არჩეულ პარტიულ კომიტეტს მისცეს განაწესი, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს კოლმეურნეობის ახალ აღმავლობას.

ნ. ᲭᲐᲜᲗᲣᲠᲘᲐ,
საგარეჯოს რაიონული გაზეთ „ივრის განთიადის“ რედაქტორის მოადგილე.

ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲧᲣᲠᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲣᲓ-ᲙᲐᲛᲒᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲝᲠᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ

სახალხო კონტროლი საწარმოს ფხიზელი თვალი და ყურია. მისი ყველა წევრი სხსპეტაკის, სინდისის, პრინციპულობის შესანიშნავი მაგალითი უნდა იყოს, უნდა იბრძოდეს საკუთარი საწარმოს კოლექტივის სახელის ღირსებისათვის. ამ დევიზით მუშაობენ და იბრძვიან თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის სახალხო კონტროლიორთა ჯგუფი და მისი საგუშაგოები.

...კონტროლიორთა ფხიზელ თვალს არ გამოეპარა ის ამბავი, რომ მაუდის წარმოების უბანზე საქსოვი წარმოებიდან დაბრუნებულ მასრებზე დარჩენილი იყო ნართი. რაც იწვევდა ნედლეულის ზედმეტ ხარჯვებს. ამიტომ კომბინატის დირექციამ გამოჰყო კომისია, რომელიც ძირითადად სახალხო კონტროლიორებისაგან შედგებოდა. შემოწმებითი გამოირკვა, რომ მასრებზე მთლიანად იყო ნართის ნარჩენები, რასაც იწვევდა ზოგიერთი მუშის, წუნმდებლის, ქვეოსტატისა და ოსტატის დაუდევრობა, უყაირათობა, საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება. ადმინისტრაციამ აღნიშნულ ფაქტზე სათანადოდ იმსჯელა და კონკრეტული დამნაშავენი დასაჯა. ამით საწარმოს მნიშვნელოვანი რაოდენობით დაეზოგა ნართი.

აი ასეთ ფაქტებზე ილაპარაკეს თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში გამართულ სახალხო კონტროლიორთა კონფერენციაზე.

მომხსენებელმა მთავარი მექანიკოსის განყოფილების უფროსის მოადგილემ, სახალხო კონტროლის ჯგუფის ბიუროს თავმჯდომარემ ო. დურგლიძემ ილაპარაკა იმ მუშაობაზე, რომელსაც საანგარიშო პერიოდში ეწეოდნენ კომბინატის სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები.

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ სახალხო კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებში ჩაბმული არიან მუშები, ინჟინრები, მოსამსახურეები, რომელთა გონება და ფხიზელი თვალი მიმართულია იქითკენ, რომ საზოგადოებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად და პატიოსნად შესრულებით ხელი შეუწყონ კომბინატის მთელ კოლექტივს ყველა საწარმო ბრძოლების ხელმძღვანელის წარმატებით და სასახელოდ შესრულებაში. სახალხო კონტროლიორები საწარმოს ხელმძღვანელობასთან ერთად იბრძვიან პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, ფულადი სახსრების ეკონომიისათვის, მატერიალური სტიმულირებისათვის, ფონდების სწორად გამოყენებისათვის, ახალი ტექნიკის დროულად და ხარისხიანად დამონტაჟებისათვის, საწვავის, ელექტროენერგიის, ლითონების და სხვადასხვა დამხმარე მასალის მომჭირნეობით ხარჯვისათვის.

სახალხო კონტროლიორთა წარმატებით მუშაობას ხელი შეუწყო სახალხო კონტროლის ორგანოებისათვის წელს მიღებულმა დებულებამ, რომელშიც დაწერილებით არის ლაპარაკი კონტროლიორთა უფლება-მოვალეობაზე, მათს როლზე საბოლოო-ეკონომიური ცხოვრების ყველა სფეროში.

მრავალი საინტერესო და უაღრესად საჭირო საკითხი-შეტყობინება, ... [illegible] ... ტურ სახელმწიფოებრივი კონტროლი უნდა იყოს. [illegible] სახალხო ხასიათი, რომ მასში უნდა მონაწილეობდეს მთელი მშრომელი მასა. ამიტომ ... [illegible] ... ურნეები და კულტურული მშენებლობის ამოცანები.

კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ კონტროლიორთა თვალი და ყური ჯერ კიდევ ვერ სწვდება ყველა უბანს. საწარმოში ჯერ კიდევ არის გამოუყენებელი რეზერვები, რომელთა ამოქმედება გააუმჯობესებს კომბინატის ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს, ამაღლებს წარმოების კულტურას, განამტკიცებს რენტაბელობას და გააუმჯობესებს მუშათა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებს.

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის სახალხო კონტროლიორთა კონფერენციის მუშაობა შეაჯამა თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ჯანჯღავამ. კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსის მოადგილე თ. ჯაბადარი.

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის სახალხო კონტროლიორთა კონფერენციამ აირჩია საწარმოს სახალხო კონტროლის საერთო ჯგუფი. შემდეგ გაიმართა ჯგუფის სხდომა. რომელმაც აირჩია ბიუროი. ხოლო ამ უანასკნელმა თავმჯდომარე — კომბინატის ტექნიკური განყოფილების ინჟინერი ო. ნარჩემაშვილი.

ბ. ᲑᲐᲙᲣᲠᲐᲫᲔ.

ᲒᲐᲗᲣᲛᲘᲡ რაიონის სოფელ ანგეხის კოლმეურნეობაში ციტრუსოვანთა კრეფა გრძელდება. საუკეთესო მკრეფავთა შორის კოლმეურნეობის მესამე ბრიგადაში უფუნა ჯიჯავაძეს ასახელებენ. იგი ყოველდღიურად 200-250 კილოგრამ ციტრუსს კრეფს.

სურათზე: მესამე ბრიგადის კოლმეურნე უფუნა ჯიჯავაძე.

ფოტო ნ. ᲐᲜᲐᲚᲘᲩᲘᲫᲘᲡᲐ.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

სწორად ვხარჯოთ საპრემიო ფონდები

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა შეიმოწმა, თუ რამდენად სწორად ხარჯავენ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის ხელშეწყობისათვის საპრემიო ფონდებს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქიმიური მრეწველობის სამმართველოს ობიექტები და ელექტროტექნიკური მრეწველობის ზოგიერთი ქარხანა. აღინიშნა, რომ ამ სამინისტროთა და უწყებათა ბევრ საწარმოში არის საპრემიო ფონდის არასწორი გამოყენების, არადანიშნულებისამებრ ხარჯვის ფაქტები.

ასეთი ფაქტები იყო № 7 სამკერვალო ფაბრიკაში, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში, № 1 სამკერვალო ფაბრიკაში, სამოდელო ფიხსაცმლის ფაბრიკასა და სხვა საწარმოებში.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მარტო ხუთ საწარმოში 1967-1969 წლებში გადახარჯეს 2,2 ათასი მანეთი.

მთელ რიგ საწარმოებში დირექტორებს, მთავარ ინჟინრებსა და ჯათ მოადგილეებს ამლევენ პრემიებს გამოგონებათა და რაციონალიზატორული წინადადებათა დანერგვის ხელშეწყობისათვის იმ სამინისტროებისა და უწყებებისა ნებადაურთველად, რომლებსაც ეს საწარმოები ემორჩილებიან. ხშირად პრემიებს ანიჭებენ პირებს, რომლებსაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ ამ წინადადებათა დანერგვაში. მაგალითად, 1967-1969 წლებში 21 ობიექტზე 158 მუშაკს, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა დანერგვაში, პრემიის სახით მისცეს 9,2 ათასი მანეთი.

საწარმოებში არ ადგენენ რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა დანერგვის გეგმაგრაფიკებს. ხშირად საწარმოთა ხელმძღვანელები მუშაკებს პრემიებს აძლევენ პროფკავშირულ ორგანიზაციასთან შეუთანხმებლად. არის შემთხვევები, როცა ამ ფონდის შექმნისა და გამოყენების წესს არ იცნობენ და ზოგიერთ საწარმოში რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების წახალისება საერთოდ არა ხდება.

მეტ წილ საწარმოებში ჯეროვან უურადღებას არ უთმობენ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მუშაობას. პირები, რომლებსაც ამ მუშაობის ხელმძღვანელობა ეკისრებათ, არ იმაღლებენ კვალიფიკაციას, რაც საპრემიო ფონდის ხარჯვაში დარღვევების ერთ-ერთი მიზეზია, ეს განპირობებულია იმით, რომ მსუბუქი მრეწველობისა და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროები, ქიმიური მრეწველობის სამმართველო სუსტად ხელმძღვანელობენ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მუშაობას საქვეუწყებო საწარმოებში, მეთოდურ დახმარებასა და საჭირო კონტროლს არ უწევენ ამ მუშაობის შესასრულებლად საწარმოებისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯვას, არ ამარაგებენ მათ გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის შესახებ სახელმძღვანელო მასალებით.

არ არის ერთიანი სახელმძღვანელო საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის შესახებ მთლიანად რესპუბლიკაშიც. რამდენადმე ამას ახორციელებს მხოლოდ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო.

გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის ხელშეწყობის ფონდის ხარჯვაში ყველა ზემოაღნიშნული ნაკლი და დარღვევა მნიშვნელოვანწილად უშლის ხელს საწარმოების მუშაკთა შემოქმედებითი აქტივობის განვითარებას.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა მსუბუქი მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროების, ქიმიური მრეწველობის სამმართველოს ყურადღება მიაპყრო არსებულ ნაკლოვანებებს.

რესპუბლიკის ყველა სამინისტრო და უწყება მოვალეა ორი თვის ვადაში შეისწავლონ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის ხელშეწყობის ფონდის ხარჯვის მდგომარეობა, ჯეროვანი წესრიგი დაამყარონ ამ სახსრების ხარჯვაში.

სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ მოაწყონ სამინარები ხელმძღვანელი მუშაკებისათვის, რომლებიც საწარმოებში სათავეში უდგანან მუშაობას გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის დარგში.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს წინადადება მიეცა გააძლიეროს კონტროლი საპრემიო ფონდის შექმნისა და ხარჯვისადმი. (საქდესი).

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲡᲐᲮᲘᲠᲔᲠᲔ. ბევრ კარგ ღონისძიებას ახორციელებს ქალთა შორის მუშაობის რაიონული საბჭო. მიაღთოსნობით ახლახან შეიქნა სახიერის ქალთა სახალხო უნივერსიტეტი. პარტიის რაიკომის ბიურომ უნივერსიტეტის რექტორად დაამტკიცა სახიერის რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი თ. ეზიაშვილი, პრორექტორად — სახიერის ი. ჯავშავაძის სახელობის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვ. გოგოლაძე.

ქალთა სახალხო უნივერსიტეტს აქვს მედიცინისა და სანიტარიგენერი ცოდნის, მშობლობა პედაგოგიური განათლების და ესთეტიკის ფაკულტეტები.

გარდა ყველიფიციური ლექციებისა, „უნივერსიტეტი მოაწყობს ექსკურსიებს, კითხვა-პასუხის საღამოებს, თეორიულ კონფერენციებს, კინოთეატრში კოლექტიურ დასწრებას, შეხვედრებს შრომისა და ბრძოლის მოწინავე ქალებთან.

Ე. ᲓᲣᲠᲛᲘᲨᲘᲫᲔ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ—ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ

ᲩᲔᲜᲘ სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზრუნავი მუდამ იყო და რჩება ახალგაზრდობის — კომუნიზმის ღირსეულ მშენებელთა აღზრდა. ახალგაზრდობა ჩვენი მოვალეობა და მათი აღზრდისათვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გვაკისრია ჩვენ, უმაღლესი სკოლების მუშაკებს.

ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმე რთული პროცესია, რასაც ბევრი ასპექტი აქვს, თვითეული მათგანი დიდი მნიშვნელობისაა და არც ერთი მათგანი არ უნდა ვამოგვრჩეს მხედველობიდან. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ფიზიკურ კულტურასა და სპორტს, რომლებიც როგორც ცნობილია, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ორგანულ ნაწილს წარმოადგენენ.

დღევანდელი ცხოვრების პირობები ყოველი ადამიანისაგან მოითხოვს ისეთ თვისებებსა და ჩვევებს, რომლებიც ყველაზე ეფექტურად შეიძლება ვითარდებოდეს ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მეცადინეობის დახმარებით. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დიდმნიშვნელოვან საშუალებას ჯერ კიდევ ვერ იყენებენ სრული ეფექტურობით.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ მოსახლეობის ყველა ფენაში და განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობას შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას. ასრულებენ რა პარტიისა და მთავრობის მითითებებს, რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები, კერძოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დიდ ყურადღებას უთმობენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას.

ჩვენი ამოცანაა სტუდენტთა სპორტი მასობრივი გავხადოთ, სხვადასხვა ფიზკულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში ჩავაბათ ყველა სტუდენტი. ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა აღმოვფხვრათ ზოგიერთი ცრუ შეხედულებანი, რომლებიც ჯერ კიდევ გავრცელებულია. მე მხედველობაში მაქვს ის აზრი, თითქოს სპორტით გატაცება შეუთავსებელი იყოს სწავლასთან, რომ იგი თითქოს უარყოფითს გავლენას ახდენდეს აკადემიურ წარმატებაზე. შემდეგი მტკიცება, თუ როდეს უსაფუძვლოა ამგვარი მსჯელობა. შეიძლება დავასახელოთ მთელი რიგი მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სპორტით გატაცება, თუ იგი გონივრულ ფარგლებშია, პირიქით, ხელს უწყობს ახალგაზრდა თაობის ინტელექტუალურ აქტივობას. მუშაობის გამოცდილებით ვიცი, რომ სპორტსმენი სტუდენტები დანარჩენებთან შედარებით უფრო მტკიცედ იცავენ პირად რეჟიმს, უფრო დისციპლინიანი არიან, ბოროტად არ იყენებენ ალკოჰოლიან სასმელებსა და თამბაქოს წევას. ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გადაეჩვიოთ ახალგაზრდობა ამ მავნე ჩვევებს.

ჩვენს რესპუბლიკაში უმაღლესი სკოლის დაარსების ღღიდანვე სპორტის განვითარება ასე თუ ისე მასთან იყო დაკავშირებული. გავიხსენოთ თუნდაც ჩვენი გამოჩენილი მეცნიერები, აკადემიკოსები და პროფესორები ი. ბერიტაშვილი, ნ. კეცხოველი, კ. ბაქრაძე და ბევრი სხვა, რომლებიც დიდ ყურადღებას აქცევენ ფიზიკურ კულტურასა და სპორტს. საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთი წამომწყები იყო თვალსაჩინო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე გ. ნიკოლაძე.

ვიცი ბევრი სხვა შემთხვევაც, როცა გამოჩენილი მეცნიერები დიდ ყურადღებას აქ ც ე ვ დნენ, ბევრ დროს ანდომებდნენ სპორტში მეცადინეობას. ამასთან ყველა მათგანი ადასტურებდა რომ სპორტი არა თუ ხელს უშლის მათს სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს მაღალნაყოფიერ შრომას.

გამოჩენილი ფიზიკოსი ნობელის პრემიის ლაურეატი, დანიელი ნილს ბორი მრავალი წლის განმავლობაში თამაშობდა მეკარედ ფეხბურთელთა საკმაოდ ძლიერ გუნდებში. როგორც თვითონ ამბობს, მას ძალიან შეშურდა, როცა მისი ძმა, თვალსაჩინო მათემატიკოსი, მოხვდა როგორც ნახევარმცველი დანიის ეროვნულ გუნდში და ოლიმპიურ ასპარეზობაში მიიღო მონაწილეობა. ჩემთვის ცნობილია სხვა შემთხვევებიც, როცა ბევრი მეცნიერი სპორტის დიდ სიყვარულს იჩენდა. სამწუხაროდ, ვერ დავიკვეხნი, რომ ძლიერ მივდევდი სპორტს. მაგრამ თავის დროზე არც მე ვ ე დ ე ქი ბანზე ამ საქმეს, ვმონაწილეობდი უნივერსიტეტის ფრენბურთელთა ერთ-ერთ გუნდში. შეიძლება არც თუ ძალიან მაღალ დონეზე ვთამაშობდით, მაგრამ სიბობათა მშენებლობის საქმეში უფრო ფართოდ უნდა ვიყურებოდეთ თვით სტუდენტებს, ვაწყობდეთ შაბათობებს, ზოგჯერ კი ვიყენებდეთ მეცადინეობისა გ ა ნ თავისუფალ საათებსაც. ყველაფერი ეს ხომ თვითონ სტუდენტებისათვის უნდა აშენდეს. აქ ბევრ რამეში საჭიროა ინიციატივას, ადამიანთა დარაზმვის უნარს იჩენდნენ ფიზიკური აღზრდის კათედრა, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

უნივერსიტეტში სწავლობს ბევრი გამოჩენილი სპორტსმენი, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ ჩვენი ქვეყნის სამგზის ჩემპიონი ჯადრაკში, მსოფლიოს ჩემპიონი 1969 წლის გუნდურ შეჯიბრებაში ნანა ალექსანდრია, ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი, მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში შოთა ლომაძე, ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი ტანმოვარჯიშე როზა ბერიკაშვილი და სხვები.

ამას წინათ ჩვენი უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოზე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ლ. გოგოლაძემ. — კარგად ცნობილმა სპორტსმენმა წყალბურთში.

უნივერსიტეტში დიდია სპორტისადმი ინტერესი, მაგრამ, ვფიქრობ, იგი კიდევ უფრო მეტი იქნებოდა, რომ ერთი გარემოება ხელს არ უშლიდეს.

შეიქმნა ასეთი რამდენადმე უცნაური სიტუაცია: ბევრ ჩვენს სტუდენტს უფლება არა აქვს სტუდენტთა შეჯიბრებებში დაიცვას ღირსება თავისი უმაღლესი სასწავლებლისა, რომელშიც ბუთი ნული ბანაბილზე სწავლობს. პირადად დავინტერესდი, თუ ჩვენს სტუდენტებს რატომ არა აქვთ უფლება დაიცვან უნივერსიტეტის ღირსება!.. თურმე სტუდენტთა საზოგადოება „ბურევესტნიკის“ ცენტრალურ სპორტულ კლუბს გამოუცია ინსტრუქცია, რომლის თანახმად სტუდენტთა შეჯიბრებაში შეიძლება დაშვებულ იქნან მხოლოდ ამ საზოგადოების წევრები. ასეთი გადაწყვეტილება არასწორად მიმაჩნია.

სპორტსმენი სტუდენტისათვის მეტად სასარგებლოა ხანგამოშვებით მონაწილეობას იღებდეს შეჯიბრებაში მაღალი კლასის გამოცდილ სპორტსმენებთან ერთ გუნდში და ამასთან იცავდეს თავიანთი კოლექტივის ღირსებას. უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობაც, სტუდენტებიც და სხვა მუშაკებიც ხომ უფრო მეტად იქნებიან დაინტერესებული სტუდენტთა შეჯიბრების მიმდინარეობით, როცა მასში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი სპორტსმენები. ხოლო რაც უფრო დიდია შეჯიბრებისადმი ინტერესი, მით უკეთესია ფიზიკური კულტურისა და სპორტის პოპულარიზაციისათვის.

იმედი მაქვს, რომ საზოგადოება „ბურევესტნიკი“ გადასინჯავს თავის ამ გადაწყვეტილებას, რაც უეჭველია აამაღლებს უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრიობის ინტერესს სპორტისადმი.

მე შევეხე სტუდენტთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი განვითარების მხოლოდ ზოგიერთ საკითხს. სხვაც ბევრია მოსაგვარებელი. ამას ვითვალისწინებდით როცა ენინგრადის ფიზიკური აღზრდის კათედრის ხელმძღვანელად მოვიწვიეთ გამოცდილი სპეციალისტი—სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ე. გოკიელი. კათედრის შემადგენლობაში არიან გამოცდილი მასწავლებლები.

იმედი გვაქვს ფიზიკური აღზრდის კათედრის მთელი კოლექტივი რექტორატის, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების აქტიური ხელშეწყობით ყველა ღონეს იხმარენ, იმისათვის რომ წარმატებით განახორციელონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ სტუდენტთა შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საქმეში დასახული ამოცანები.

Ი. ᲗᲔᲪᲣᲐ,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი, სოციალისტ უ რ ი შრომის გმირი.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲘᲒᲜᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

უწულო ონკანები და განიავებული ათასები

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲘᲗᲠᲯᲝᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘ

ᲗᲘᲗᲠᲯᲝᲚᲘᲡ რაიონის სოფელ ბარდუბნის წყალსადენის მშენებლობის ნაკლოვანებებს ეგებოდა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი წერილი — „უწყლო ონკანები და განიავებული ათასები“, რომლის გამო პარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი ი. ყიშპანი გვწერს:

„კომუნისტში“ გამოქვეყნებულ კორესპონდენციაზე მოყვანილი ფაქტები ᲛᲝᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲡᲐᲡᲯᲔᲠᲓᲐ.

პარტიის რაიკომის ბიურომ განიხილა აღნიშნული საკითხი და სოფელ ბარდუბნის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე ნიკოლოზ ამეისაკოშვილი ნემსაძე წყალსადენის მშენებლობაზე დაშვებული უხეში დარღვევებისა და დამახინჯებებისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა მნიშვნელოვანი საკოლმეურნეო სახსრების განიავება, გარიცხა პარტიის რიგებიდან.

მონაკვეცევი მასალები აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გადაეცა რაიონის პროკურატურას დამნაშავეების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲕᲬᲔᲠᲔᲜ ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘᲡ ᲨᲝᲡᲒᲘᲓᲐᲜ

□ **ᲥᲔᲓᲐ.** ამას წინათ სოფელ ცხმორისის საშუალო სკოლაში მოეწყო ლიტერატურული წრის მეცადინეობა თემაზე: „ვ. ი. ლენინის სახე ქართულ საბჭოთა პოეზიაში“. თემა მოამზადა და წაიკითხა მეათე კლასის მოსწავლემ ნოდარ ბერიძემ. მოსწავლეთა აქტიური მ

ჟურნალი დილეა

კომუნიკე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციისა და გერმანელთა კომუნისტური პარტიის დელეგაციის შეხვედრის შესახებ

ამა წლის 22 დეკემბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მ. ა. სუსლოვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. ნ. პონომარიოვი**, შეხვდა გერმანელთა კომუნისტური პარტიის დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში იყვნენ გერმანელთა კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე **კ. ბახმანი**, გერმანელთა კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის მოადგილე **გ. მისი**, გერმანელთა კომუნისტური პარტიის გამგეობის პრეზიდიუმის წევრები **მ. კაპლუკი** და **კ.-ხ. ნეტე

გავუფრთხილდეთ მწვანე საუნჯეს

ეს ჩვენი სასიცოცხლო, საშვილიშვილო საქმეა

ჯიდევ რამდენიმე დღე, და კარს შემოაღებს ახალი — 1970 წელი. ყველგან სიხარულით მოელიან მის შემობრძანებას. ყველას თავთავისი სათქმელი აქვს ამ დღეებში. ჩვენც — ქართველ მეტყევეებსაც — გვაქვს ჩვენი სათქმელი, საფიქრალი.

ამჟამად არაფერს ვიტყვით იმ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებზე, რაც ჩვენს რესპუბლიკაში ტყის დაცისათვის ხორციელდება. ტყით შეიმოსა ჩვენი მთა და ბარი, ხრეოკი ადგილები, ტრიალი ველები, მწვანედ გადაიბურა მტკვრის, ალაზნის, რიონის, არაგვის ჭალები. მწვანე სამოსით დაიფარა გამიშვლებული და ჩამორეცხილი ფერდობების საგრძნობი ნაწილი.

ყველგან, რესპუბლიკაში მშრომელები ხალისით სდებიან შაბათობებს, რომლებიც ტყის გაშენებისათვის ეწყობა. რამდენ ძალასა და ღონეს ვხარჯავთ, როგორი სიყვარულით ვუვლით ყოველ ნერგს იმისათვის, რომ იხაროს მწვანე ნარგავმა!

და რა დასანანია, როცა ვინმე უგულო შეუბრალებლად ანადგურებს სიყვარულით დარგულ და მოვლილ-გაზრდილ მცენარეს, ძირში ჩეხავს მას. თუ არა ბოროტმოქმედი, სხვა რა უნდა ეწოდოს კაცს, რომელიც ნაჯახით ამოძირკვავს ხალხის ნაამაგარ, სათუთად ნაზარდ ნაძვს და მერე უხირცხვილოდ ბაზარზე გამოიტანს გასაყიდად. რატომ არავინ არ სთხოვს მათ პასუხს, რატომ არ კითხულობენ — საიდან მოაქვთ ნაძვის ხეები გასაყიდად?

ჩვენს ბავშვებს აქედანვე უნდა ჩავუნერგოთ მცენარეთა სიყვარული, აქედანვე უნდა შეგაჩვიოთ მწვანე მეგობრის მოვლა-გაშენებას და არა მის გაჩანაგებას. ჩვენ, უფროსებმა კი საკუთარი მაგალითით ვაჩვენოთ როგორ ვუფრთხილდებით, ვუვლით და ვაპატრონობთ მწვანე საუნჯეს. განა ამიტომ იხარჯება უამრავი თანხა, მშრომელთა ძალა და ენერგია, რომ ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო პიროვნებებმა უპასუხისმგებლოდ გაანიავონ სახალხო სიმდიდრე? სავალალოა, რომ ერთ დღეში დიდი რაოდენობით გვიცლება ხელიდან იმ ნაძვის ხეთა დიდი ნაწილი, რასაც წლობით ვზრდით და ვუვლით.

აბა, წარმოიდგინეთ, ყოველმა ბავშვიანმა ოჯახმა საახალწლოდ ნორჩი ნაძვი რომ შეიძინოს, რა სურათი იქნება — გაჩანაგდება ჩვენი დიდებული ტყე, ერთიანად ჩაირეცხება ნიადაგი, ქარიშხალს, ხორშაკსა და ცივ ქარს ვედარაფერი დაეკავება. დაირღვევა ეკოლოგიური წონასწორობა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჰიდროელექტროსადგურებისა და საირიგაციო სისტემების ნორმალური მუშაობისათვის; დასახლებულ პუნქტებსა და საგზაო-სატრანსპორტო ნაგებობებზე მოსალოდნელი გახდება თოვლის ზვავები, მეწყერები და ნიაღვრები, არაზომიერი გახდება ჰაერის ტემპერატურა, იკლებს მოსავალი.

ჩვენს საუკეთესო კურორტებს, დასასვენებელ სახლებს და სანატორიუმებს ირგვლივ ტყე აკრავს, და ამით არიან ისინი თვალწარმტაცნი, აქ ისვენებენ და ენერგიას იბრუნებენ მშრომელები. სწორედ ჯანსაღი ტყის ჰაერით არიან განთქმული ბორჯომი, აბასთუმანი, შოვი, ბახმარო, ლებარდე.

ყოველი ძირი მცენარის უკანონოდ მოჭრას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეცეს დღეს, როცა პარტიისა და მთავრობის დადგენილებით ათასობით კილომეტრ მანძილზე, გახსრიალებულ მიდამოებსა და მწირ, ტრიალ ველებზე დაცვითი ტყის ზოლები შენდება. არავის არა აქვს უფლება ხალხის ნაამაგარი წყალში გადაყაროს!

ვინ მოთვლის, რამდენი ასეული მეტყევისა და ბუნების დამცველთა შრომა და გარჯა არის დახარჯული ტყის გახარების შენებაზე. ამ დროს ჩვენში, საგზუნაროდ, კიდევ მოიპოვებიან ადამიანები, რომლებიც გულგრილად ეკიდებიან ტყეების დაცვის საქმეს და აბეჩად იყდებენ მეტყევეთა შრომას.

იყო შემთხვევები, როცა, გასულ წლებში უნებართვოდ მოჭრეს წიწვიანი ჯიშის ხეები როგორც ახალგაზრდა კორომებში, ისე ხელოვნურად გაშენებულ ტყეებში, ბევრი დამნაშავე ადგილზევე ვამხელეთ და ღირსეულადაც დავსაჯეთ, მაგრამ სასჯელი როდი გააცცხლებს მოჩეხილ ხეებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა სამჭოს დადგენილებით სასტიკად არის აკრძალული წიწვიანი ჯიშის კორომებსა და მწვანე ნარგავებში საახალწლო ნაძვისხის დამზადება, რესპუბლიკის ბევრ ქალაქში საახალწლო დღესასწაულისათვის სპეციალური საამქროები ამზადებენ ხელოვნურ ნაძვისხეებს, რომლებიც არაფრით არ ჩამოუვარდებიან ბუნებრივ წიწვოვნებს. მისასალმებელია ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის ინიციატივაც. ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს სკოლებსა და საწარმო-დაწესებულებათა ეზოებში დარგონ ნაძვის ხეები, შემდეგ კი იქვე, სუფთა ჰაერზე, გამართონ საახალწლო კარნავალი.

სასურველია კომკავშირულმა ორგანიზაციებმა წინასაახალწლო დღეებში სატყეო მეურნეობებთან შექმნან მწვანე საგუშაგოები. ეს დიდად დაეხმარება მეტყევეებს, საქართველოს სსრ მინისტრთა სამჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკებს ენერგიულად ებრძოლონ მწვანე საუნჯის გამჩანაგებლებს.

ნარგაობათა დაცვა საყოველთაოსახალხო საქმეა, ამისათვის თვითეული მოქალაქე უნდა ზრუნავდეს.

ნუ დავდგამთ ოჯახებში ბუნებრივი ნაძვის და სოჭის ხეებს! გვახსოვდეს — საახალწლოდ გასაყიდად გამოტანილი ყველა ძირი წიწვიანი მცენარე უკანონოდ არის მოჭრილი.

ი. ჩოდრიშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა სამჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.



გზა ზეკარის უღელტეხილზე.

ფოტო ბ. ბერსამიასი.
(საქდესის ფოტოკრონიკა).

3. კაკანაძე

ქართველ პედაგოგთა რიგებს მოულოდნელად გამოაკლდა ღვწმოსილი მუშაო ვსეგეოლი (ნიკოლოზ) იასონის-ძე კაკანაძე, რომელიც 52 წლის განმავლობაში უანგაროდ ემსახურებოდა ჩვენი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის დიდ საქმეს.

ვ. კაკანაძე დაიბადა 1891 წლის 19 დეკემბერს საჭილაოში (აბაშის რაიონი), სადაც მაშინ მუშაობდა მამამისი — სახალხო მასწავლებელი, საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი იასონ კაკანაძე.

1911 წ. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ვ. კაკანაძე სწავლას აგრძელებს მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელსაც ამთავრებს 1916 წელს. 1917 წლიდან იწყება მისი განუწყვეტელი მუშაობა პედაგოგიურ ფრონტზე ქუთაისში, ჰიპოთრაში; იყო მასწავლებელი, რაიონული განათლების განყოფილების გამგე.

1925 წლიდან პედაგოგიურ მოღვაწეობას განაგრძობს თბილისში საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში — მე-17, 33-ე საშუალო სკოლებში, სამხატვრო აკადემიასა და სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას და ფსიქოლოგიას.

1930-1934 წლებში მუშაობდა მეთოდისტად, 1942-1946 წ. წ. იყო უნივერსიტეტის დაუსწრებელი სწავლების განყოფილების დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში, 1950 წ. არჩეულ იქნა ენების კათედრის გამგედ საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მუშაობდა.

ვ. კაკანაძის კალამს ეკუთვნის 30-ზე მეტი სახელმწოდები მეცნიერული ნაშრომი, სახელმძღვანელო და მეთოდური წერილები რუსული ენის სწავლების საკითხებზე.

ვ. კაკანაძემ 1947 წელს დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. სამეცნიერო ხარისხთან ერთად მას მიენიჭა დოცენტის წოდება.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მას მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები. 1968 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

ღვაწლმოსილი მასწავლებლის ვ. კაკანაძის ხსოვნა მარადჟამს დარჩება მისი აბრახაგების, თარგმანთა და მოწაფეების გულში.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

პუნეების მტრები

ადრე ახალი წლის წინა დღეებში თბილისის მოედნებზე, გზაჯვარედინებზე, ბაზრის შესასვლელებში ნახავდით ყოველგვარი ტრანსპორტით შემოზიდულ ათასობით სხვადასხვა ზომის ნაძვის ხეებს. მაშინ ვინც ამ ხეებს სჩრიდა, ეტყობა ორც კი ფიქრობდა თუ რა ბარბაროსობას ჩადიოდა, რა ზიანს აყენებდა ბუნებას, ტყეს, ჯაგას, მდინარეებს, ხალხს...

ყველა ეს წარსულს ჩაბარდა. აიკრძალა ნაძვის ხეების მოჭრა და მის მაგიერ ათეულ ათასობით მზადდება ხელოვნური ნაძვის ხეები. ამას მოსახლეობა დიდი მოწონებით შეხვდა.

მაგრამ... გუშინ თბილისში აკაკი წერეთლის პროსპექტზე № 87 სახლის ეზოში ნაძვის ხეებით დატვირთული სატვირთო ავტომანქანა შემოგრიალდა. გაჩერდა მანქანა და ძარაზე სწრაფად აიკრნენ აკაკი გელაშვილი და გივი ბლიადე, მათ უნდოდათ დაეწყოთ ნაძვის ხეთა გაყიდვა, მაგრამ თავზე წაადგათ ქალაქ თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სამორიგეო ნაწილის უფროსი ინსპექტორი მილიციის მაიორი ს. ბეკიანშვილი.

ბუნების, მცენარეთა ამ უსულგულო მტრებს ფერი ეცვალათ.

სად მოჭრეს, საიდან მოიტანეს ამ ნაძვისაებმა ეს შშვენიერი, ტანაშოლტილი, ტოტებადაბურული — 25 ნაძვი და სოჭი?

შეკუთხეთ ამ უმოწყალოდ მოჭრილ ხეებს და გული დაგწყვეტათ, ისინი ხომ ჩვენს მიწა-წყალს ამშვენებდნენ, ალამაზებდნენ, ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ემსახურებოდნენ. ამ უგულო არაკაცებმა კი ნაკახი შემოკრეს და სიცოცხლეს გამოსალმეს, ხე მოჭრეს, გორაკი გაატიტვლეს, გაანადგურეს ათ წელს გადაცილებული ნაძვი და სოჭი. რატომ ხელები არ მოეჭრათ ამ ბარბაროსებს... ვინ არიან ისინი?

ორივე ბორჯომის რაიონის მკვიდრია. ქურდობისათვის პასუხისგებაში ნამყოფი აკაკი გელაშვილი ბორჯომის ავტოსატრანსპორტო კონტორაში მუშაობს მძღოლად, ხოლო გივი ბლიაძე ახალდაბის კოლმეურნეობაში ტკეჩის მბრძანებელია.

იქნებ იფიქროთ ამ მოწიფულმა ადამიანებმა ეს დანაშაული შეიგნეს, აღიარეს და მოინანიეს თბილისის პირველი მაისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში, როდესაც მათ კაპიტანი გიორგი მურუსიძე დაჰკითხავდა?

არა, ისინი ურცხვად აცხადებენ: — როგორ გეკადრებათ, ნაძვის ხეები ვიგერ ერთი კილომეტრით მაცოფთან გამოვეცალეთ მოჭრილი ვნახეთ, გზაზე ეყარა, ბუნდა ვერ მოგვითრია და წამოვიღეთ, რომ ნაცვლობ შეგობრებისათვის მიგვეცა.

ტსირცხვილოდ სტყუიან. თბილისში, იმ ეზოში, სადაც ნაძვისა და სოჭის ხეები მიიტანეს ბათ არც ერთი ნათესავი, ამხანაგი და მეგობარი არა ყოფილა. ისინი მუქთი ფულის შოვნის სურვილმა დაამრავა.

ამ მანქანით მგზავრობდა აგრეთვე ბორჯომის ავტოსატრანსპორტო-კანტორის ექსპედიტორი სულიკო წერონიძე. მან მილიციის მუშაკებს განუმარტა, რომ ეგერ შენიშნა ავტომანქანის სამარკულზე დაყრილი ნაძვები. თურმე ხუ იტყვიან მას მთელ გზაზე ეძინა და მხოლოდ თბილისში აკაკი წერეთლის პროსპექტზე გაღვიძებიათ. ამაზე იტყვიან, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

საკითხავია, სად იყვნენ ახალდაბის მესვეურები, ტყის მცველები, მცხოვრებლები, როცა ბოროტი ადამიანები სიცოცხლეს ალამებდნენ ათობით ნაძვს. ნუთუ ახალდაბაში ვერც ერთმა კაცმა ვერ შენიშნა ა. გელაშვილისა და გ. ბლიაძის ბოროტმოქმედება? რატომ არ ამბილეს ხმა მათ წინააღმდეგ?

ისიც უნდა ითქვას, რომ თბილისიდან ბორჯომამდე ეს ორმოცდაათ კილომეტრზე მეტია. როგორ მოახერხეს ბრაკონიერებმა ნაძვის ხეების დაუბრკოლებლად შემოტანა თბილისში? ნუთუ ავტოინსპექციის პუნქტებთან ნაძვებით დატვირთული მანქანა ვერავინ ვერ შეამჩნია?

კიდევ ერთი შენიშვნა. ზოგიერთი მოქალაქე არ ითვალისწინებს იმას თუ რა ზიანი მიაყენა ბუნების სიმშვენიერეს ბრაკონიერმა, ეგვება მის ანკესზე და ნაცვლად იმისა, რომ გამოაანგარიშოს დამნაშავე, ჩალეკად ყიდულობს მისგან ნაძვის ხეს. ამით ისინი ხელს უწყობენ ა. გელაშვილისა და გ. ბლიაძისთანა გარეწრებს ჩვენი ტყეების განადგურებაში.

ბუნების მტრები სანიმუშოდ უნდა დაისჯოს.

ბ. ბახტურიძე.

აი ისინი, ბუნების მტრები ვ. ბლიაძე (ბარცხნივ) და ა. გელაშვილი მოჭრილ ნაძვის ხეებთან, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ბ. ბუზოხიამ გადაიღო გუშინ.



ვ. ბოგდანიძის მეამორძალი

ლიდერობს ბ. გურგენიძე

გუშინ დილით გადადებული პარტიების დამთავრებისას ბ. გურგენიძემ ზუსტად გამოიყენა თავისი უპირატესობა და პირველი დამარცხება აჯამა გროსმაისტერ რ. ხოლმოვს. ლ. ბაშიჩი და ვ. ჰორტა ყაიმზე შეთანხმდნენ. ლ. შამოვიჩ-რ. ჯინჯიხაშვილის პარტია მეექვსეჯერ, გადაიღო.

მეშვიდე ტური, როგორც ყოველთვის დიდწყო ვ. ჩოკილტაის ყაიმით. ამჯერად იგი უკვე მეთორმეტე სვლაზე დაუზავა რ. ჯინჯიხაშვილს. ასეთივე შედეგით დამთავრდა რ. ხოლმოვ-რ. ფუქსისა და დ. ბრონშტეინ-ა. სუეტინის პარტიები. ძლიერი სატურნირო მებრძოლი აღმოჩნდა ნ. სპრიდონოვი. მან ეფექტური გამარჯვება მოიპოვა ლ. შამოვიჩთან.

მ. ტალ-ე. გუფელდას პარტიაში გათამამდა სიცილიური დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი. მ. ტალმა მარჯვედ გაანალგა ძალები და სახიფათო მუქარა შეუქმნა ცენტრში დარჩენილ შავ მეფეს. თბილისელ გროსმაისტერს 25-ე სვლაზე მძიმე შეცდომა მოუვიდა, რის შემდეგ მ. ტალმა მოიგო ეტლი და პარტიაც. ბ. გურგენიძემ რამდენადმე უკეთესი პოზიცია მიიღო ე. კოსტროსთან. პოლონელ ოსტატს მეტად ზუსტი თამაში მოუხდა შავების ინიციატივის ნეიტრალიზაციისათვის. მას შემდეგ რაც ე. კოსტრომ შეძლო უშუალო მუქარის მოგერება მეტოდენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

შვიდი ტურის შემდეგ პირველ ადგილზეა საერთაშორისო ოსტატი ა. გურგენიძე, რომელსაც 4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

ბ. გამრეკელი.

ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით შედეგებს პალმა დ. მალიორკის და ბელგრადის ტურნირებისას, რომლებშიც ჰოკეის ენით რომ ვთქვათ, ჩვენმა უძლიერესმა სამეულებმა სპასეპეტროსიან-კორჩნოოიმ და ბოტვინიკ-გელერ-პოლუგაევსკიმ გაუშვეს რამდენიმე შაიბა, უფრო ზუსტად, წინ გაუშვეს რამდენიმე „უცხოელი.

მაგრამ დღეს ვვინაა საქართველოს საჭადრაკო საზოგადოებრიობას მივულოცოთ ნონა გაფრინდაშვილის ახალი გამარჯვება. ის, რაც ვერ მოახერხეს კიევის დინამოელებმა, შეძლო ნონამ, სახელდობრ, ოუგოსლავიის მიწაწყალზე მოიგო ევროპის ჩემპიონი ქალების ოსი. ნონამ დაამტკიცა, რომ ჭადრაკის თამაში და გამარჯვება შეიძლება საჭირწინო მოგზაურობის დროსაც, რაც იმითი ფაქტია, რომელიც დღემდე პრაქტიკაში არ ყოფილა შემოწმებული.

მაგრამ განსაკუთრებით გვინდა მივულოცოთ თბილისს ვიქტორ გოგლიძის ხსოვნის პირველსარისმოვანი ტურნირის სტატი. ჭადრაკის სპონსორ ჩვეულებრივ მთავრდება და იწყება ტურნირით პასტინესში (ინგლისი). ამჯერად საჭადრაკო სამყაროს ყურადღება ძველი და ახალი წლების მიჯნაზე მიპყრობილია საქართველოს დედაქალაქისადმი. ყურადღება! ლაპარაკობს და ურჩენებს თბილისი! უნდა ითქვას, რომ საალაპარაკოც ბევრია და საჩვენებელიც. შეიკრიბა მოჭადრაკეთა ჩინებული ანსამბლი 16 კაცის, რაოდენობით, ისევე, როგორც ბელგრადში იყო.

გვინდა თბილისის ერთ მცხოვრებს არა მარტო მივულოცოთ ტურნირის დაწყება, არამედ გულწრფელი მადლობაც გადავუხადოთ ჩვენი, გროსმაისტერთა ოჯახის სახელითა. მსედველობაში მყავს პატივცემული პროფესორი ს. ი. არშბა. ცნობილია, რომ მ. ტალს წლების განმავლობაში სტანჯავდა თირკმლები. ტალს არასოდეს არ დუკარგავს იუმორის გრძნობა და ამბობდა, ჩემი თირკმლებიც რაიონში გამოჩენილი მოსკოველი პროფესორების ორი ავტოგრაფი მაქვსო. მაგრამ მხოლოდ პროფესორ არშბას ავტოგრაფმა საბოლოოდ ისსნა მ. ტალი ტანჯვისაგან. ეფიქრობ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ პროფ. ს. არშბას წარმატებითი ოპერაციის მეობებით ტალი იწყებს ახალ სიცოცხლეს, რომ იგი-ხელახლა დაიბადა თბილისში.

ჭადრაკის ისტორიაში ყოფილან ცალთვალა მოჭადრაკეები, როგორიც იყო რ. ტეიხმანი. მიშა ტალი პირველი ადამიანია, რომელიც ჭადრაკს ცალთირკმელიანი ითამაშებს. „ცალთირკმლიანმა“ მიშა ტალმა პირველი ზოგჯერ ამობუნ, „უანასკნელნი პირველნი იქნებიანნი“. თუ ეს მართალია, უნდა გვიხაროდეს, რომ ბუსუტი გურგენიძემ რიცხვი 16 ამოიღო.

როგორც ნეიტრალურ მეთვალყურეს და გაზეთ „კომუნისტის“ ობიექტურ მიმოხილველს უფლება არა მაქვს გარაუდები გამოვთქვა. მაგრამ ამას ჩარეგალ ხუ მიიჩნევენ, თუ ვურჩევ გურგენიძეს ამ ტურნირში ითამაშოს დევიზით: — ან ახლა, ან არასოდეს! — მსედველობაში მაქვს ის, რომ შეეცადოს შეასრულოს ნორმა გროსმაისტერის წოდების მოსაპოვებლად. მართალია, ნორმა მნიშვნელოვანია დადგენილი: 10 ქულა. მაგრამ იმ ენერგიული სტარტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც ბუსუტიმ აიღო, მას მობეზრდა მუდმივი საყვედურები და შეკითხვები: ჩვენში, საქართველოში, რატომ ასე კარგად არის მოჭადრაკე ქალების საქმე და რატომ არცერთი გროსმაისტერი ვაჟი არა გვყავსო. ბუსუტი წლების განმავლობაში წარმატებით ეხმარებოდა და ეხმარება ნონასა და ნანას. ამჯერად გურგენიძეს უნდა საკუთარ თავს დაეხმაროს.

ეფიქრობთ, რომ ამჯერად ბუსუტი გურგენიძე შეეცდება ყოველ პარტიაში გამარჯვებისათვის იბრძოლოს. მაშ ვისად თვლიან, რადგან მსოფლიოს ექს-ჩემპიონი საქართველოს დედაქალაქში გადმოსვლას აპირებს?

ასეა თუ ისე, გურგენიძე წარმატებითი სტარტის შემდეგ შეიძლება 30 პროცენტით გროსმაისტერად ჩაითვალოს. დარბაზში იჯდა ტალის დედა. შვილის წაგება სრულებითაც არა სწყენია და თქვა: ბუსუტის ყოველივე კარგს ვუსურვებ გროსმაისტერის ტიტულის გაზაზე. რაც შეეხება ჩემს მიშას, თუნდაც ათი პარტია წაგოს. მთავარია, რომ ჯანმრთელად არის.

ნამდვილად ყოჩაღია ელასტიმილ ჰორტა. ამ დღეებში მან დაამთავრა უძლესები ტურნირი ესპანეთში, სადაც მესამე-მეოთხე ადგილი გიიყო გკორჩნოოისთან. მზიური ესპანეთიდან ჯერ ვენაში ჩამოვიდა, 30 საათი დაჰყო შინ პრაღაში, შემდეგ ცუდ ამინდში ჩამოვიდა მოსკოვში, სადაც რუსეთი ზამთარი უკვე საბოლოოდ შევიდა ძალაში. მოსკოველი ყინვა და ნისლი ჰორტმა წარმატებით დაძლია და ზუსტად დაეშვა კეკავ მზიურ მიწაზე—თბილისში. გასაგებია, რომ ჰორტის მონაწილეობა, რომლის აქციები მსოფლიოს საჭადრაკო ასპარეზზე ასლა ძალიან მაღალ დგას, თბილისის ტურნირის მშვენებაა, და უცხოელ მონაწილეთაგან იგი უეჭველად ყველაზე საშიში კონკურენტი იქნება ჩვენი გროსმაისტერებისათვის.

მოსკოვში 1925 წელს გაიმართა ძალიან დიდი ტურნირი. მეტსიკიდან ჩამოვიდა დიდად ნიჭიერი ახალგაზრდა პარტია მოუგო უნგრელ ოსტატ ჰაპაზს. ეს ერთგვარად „ისტორიული პარტია“ იყო მსოფლიოს ექს-ჩემპიონისათვის.

მიხეილ ტალს თბილისში მუდამ მრავალი გულშემატკივარი ჰყავდა. ახლა ალბათ ტალის პირველ გულშემატკივრად პროფესორი არშბა უნდა მივიჩნიოთ.

მონაწილეებს ძლიერ მოეწონათ ტურნირის საზეიმო გახსნა პიონერთა სასახლეში. მე დამკვიანდა, მაგრამ პრაქტიკოთ ვიცი, რომ იქ ასეთი ღონისძიებანი ბრწყინვალედ, გულწრფელი სტუმართმოყვარეობით ეწყობა.

ჯახა შეეძლო ა. ლეონს ეფიქრა, რომ მარჯვე წილისყრა — რიცხვი 1—მას მოუტანდა კატასტროფულ სტარტს — სამ ნულს ზედიზედ?!

სალაპარაკოც ბევრია და საჩვენებელიც

ყაიმები

ფელეტონი

უბედური ბედნიერება

ცაგერის ღვინის ქარხანათა სამმართველოს უფროსმა მიხეილ კვირიკაშვილმა იმ დღეებ ჩვეულებისამებრ კარგ ხასიათზე გაიღვიძა, ისაუზმა, მანქანაში ჩაჯდა და სამსახურისაკენ გაეშურა. თუმცა რა გაუფუჭებდა გუნებას — თანამდებობა კარგი ჰქონდა, ფული არ აკლდა და როდის იყო მეღვინე კაცს სასმელი შემოლევია.

ღიმილი ეფინებოდა სახეზე მიხეილს, კაბინეტში კარი რომ შეაღო, კაბინეტში შესული კი დაინახეს, მაგრამ დიდხანს ელოდნენ მის უკან გამოსვლას. შუადღე იქნებოდა, კვლავ რომ გაიღო უფროსის ოთახის კარი და თანამშრომლებმა უცნაური რამ დაინახეს: კვირიკაშვილს სახეზე მიტკლის ფერი დასდებოდა, გულზე ორივე ხელი მიედო, ძლივს მოლასლასებდა. მეტაფიზიკურ სიფრცეს გასცქეროდა და რაღაც გაუგებარს ბუტბუტებდა. კარგად რომ მიაყურეს, რამდენიმე სიტყვა გაარჩიეს „ჩემია“, „გაბედონ და შემედავონ“, „მარტო ჩემია“...

— პატივცემულო მიხეილ ცუდად ხომ არ ხართ? — სიტყვა შეჰკადრა მდივან-მემანქანემ.

— ცუდად? მე კარ ცუდად?— გადაიბარბარა კვირიკაშვილმა, ტაში შემოკრა და გაკვირვებული თანამშრომლები ახლა კი დარწმუნდნენ, რომ მათ უფროსს მშვენიერი ცეკვა სცოდნია.

— ჩემია, ჩემი,— გაკეთოდა მიხეილი და ბაღდადურს უყლაფდა.

ცაგერელები სახტად დარჩნენ — ასეთი რამ მათ უფროსს არასოდეს მოსვლია. ბევრს იმტკივნეულნენ თავს ამ გასაკვირველი საქციელის ამოსაცნობად, ქალაქიდან ამბავი რომ არ ამოსულიყო, მიშა კვირიკაშვილის ლატარიის ბილეთმა „ვოლგა“ მოიგოო...

მაქრით სავსე ოცი კასრი რომ გამსკდარიყო, ისეთი ხმაური არ ატყდებოდა, ქარხანათა სამმართველოს თანამშრომლებმა რომ ატეხეს — ქუდებს ცაში ისროდნენ, ერთმანეთს ეხვეოდნენ, ვაშას გაიძახოდნენ...

მხოლოდ ექვსი კაცი არ იღებდა ამ საერთო ხიხარულში მონაწილეობას. გაიგეს თუ არა ეს ამბავი, სახე შეეცვალათ, ბრაზით ალიკსნენ, ერთმანეთი მონახეს და „ოპერატიული“ თათბირი გამართეს.

ისე, კაცმა რომ თქვას, ხათაბირო ჰქონდათ კ. მიქიაშვილს, ტ. გუგავას, ჯ. ახვლედიანს, კ. კორძახიას, შ. გოგებაშვილსა და გ. ყურაშვილს.

რამდენიმე ხნის წინ ცაგერის ღვინის ქარხანათა სამმართველოში ახი ცალი ლატარიის ბილეთი მოიტანეს. უფროსმა იგი თანამშრომლებში „გაავრცელა“, ფული აკრიფა და მოლარე ლ. კოპალიანს ჩააბარა, მხოლოდ ლატარიის ბილეთების დარიგება „დააგვიანა“. ერთი თვე ელოდნენ სეიფში ჩაკეტილი ბილეთები თავის პატრონებს, კვირიკაშვილი კი არ ჩქარობდა — ხან ცაგერში არ იყო, ხან გახალები რჩებოდა სახლში, ხან რა და ხან რა... ბოლოს ასევე ბილეთი რომ შეამოწმა, ჭკუაზე კინაღამ შეცდა...

რომ იტყვიან, მონასტერი აირიაო, ისეთი ამბავი მოხდა ამ პატარა სამმართველოში. ახა მუშაობისათვის ვინა სცხელოდა. ყველას პირზე „ლატარია“ ადგა. ბოლოს ასევე ბილეთი ცხრილის ზემოთ ამოიღეს. ეს ბილეთი ბ. ბ. ბ. ... ...